აღსარების გავლენა თვითშეფასებაზე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგნლებში

შოთა ბერულავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია თვითშეფასებისა და აღსარების ფენომენების ურთიერთმიმართება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის (სმე) წარმომადგენლებში. კერძოდ, ახდენს თუ არა თვითშეფასებაზე გავლენას აღსარების რიტუალში მონაწილეობა. კვლევის ინსტრუმენტად შეირჩა როზენბერგის თვითშეფასების სკალა, რომელსაც ცდის პირები ოთხჯერ ავსებდნენ. სკალის შევსება საკონტროლო პირობაში ორჯერ ხდებოდა, 20 წუთიანი შუალედით. ხოლო ექსპერიმენტულ პირობაში სკალა ივსებოდა აღსარების ჩაბარებამდე და მის შემდეგ. კვლევაში მონაწილოება მიიღო 55 ცდისპირმა, აქედან 33 მდედრობითი სქესის წარმომადგენელმა და 22 მამრობითი სქესის წარმომადგენელმა. მათი ასაკი 20 - დან 53 წლამდე მერყეობდა. შედეგებმა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კაუზალური კავშირი აჩვენა აღსარებაში მონაწილეობასა და თვითშეფასების მაჩვენებლის მატებას შორის - საშუალოდ 3,7 ქულიანი ზრდა. სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხავება არ დაფიქსირდა. რაც შეეხება ასაკს, ამ შემთხვევაში ცდისპირები ორ ასაკობრივ ჯგუფში გადანაწილდნენ, 33 წლამდე და მის ზემოთ. აღმოჩნდა, რომ 33 წლის ზემოთ ჯგუფის მონაწილეებში, თვითშეფასების მაჩვენებელი საშუალოდ 1 ქულით უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე მეორე ჯგუფის მონაწილეებში. მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი დაფიქსირდა ასაკსა და თვითშეფასების მაჩვენებლის მატებას შორის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აღსარების რიტუალში მონაწილეობის შემდეგ, ქართველი მართლამდიდებლების თვითშეფასება იზრდება.

საკვანძო სიტყვები : *რელიგია, აღსარება, თვითშეფასება, როზენბერგის კითხვარი,*